ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1410806

ნომერი: AR1240272

თარიღი : 28.07.2014

გაცემის თარიღი : 31.07.2014

გაცნობის თარიღი : 01.08.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გოგებაშვილი , N 44 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილ თაყაიშვილი პ/ნ 01006009900
- თბილისი ნ. და კ. სალიების ქ. N 29

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მანანა ქართველიშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "არქ-სტილი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404854063

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ამხანაგობა "გოგებაშვილი-44" თავჯდომარე ვასილ თაყაიშვილი

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01006009900

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 385.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 282.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1895.85
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1157.9
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 173.8
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 235.35
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 151.4
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 177.4
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1353.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 565.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 788.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 22.4
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 19.36
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.04
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 282.0 კ1=0,7
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1594.2 კ2=4,1
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 33,20 მ2 კ3=0,1

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 01/1235
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 13.09.2008

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, გოგებაშვილის ქ. N44–ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. შეცვლილია მიწის ნაკვეთის საზღვრების კონფიგურაცია. საჭიროა პირველ ეტაპზე შევიდეს ცვლილება ქალაქმშენებლობით პირობებში;
2. არ არის წარმოდგენილი მიწისქვეშა სართულის გეგმა;
3. ჭრილები არასრულყოფილია;
4. დ-ა ფასადი და გეგმა +0.00 ნიშნულზე არ შეესაბამება ერთმანეთს;
5. ირღვევა სამეზობლო მიჯნები;
6. არასრულყოფილია საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი;
7. გრაფა "საჭიროების შემთხვევაში მომიჯნავე მიწის ნაკვეთ(ებ)ის მესაკუთრეთა თანხმობა. -> .მესაკუთრეთა თანხმობის pdf ფაილი" ცარიელია;
8. გაფაში "შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები. -> .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი" არასწორადაა მითითებული ბრძანების თარიღი (პროექტის შეთანხმების ბრძანების თარიღია 2008 წლის 15 სექტემბერი);
9. არ არის გადახდილი მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი;
10. კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის ანგარიშის განმარტებითი ბარათი არ არის ხელმოწერილი დამკვეთის მიერ;

11. არ არის წარმოდგენილი დენდროლოგიური პროექტი;
12. ხის მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ნებართვა ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიის და გამწვანების საქალაქო სამსახურიდან;
13. ინსოლაციისა და ბუნებრივი განათების ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნას კორექტირებული პროექტისთვის;
14. არ არის შევსებული მერის განკარგულების რეკვიზიტების ველები;
15. არ არის წარმოდგენილი ისტორიულ–არქიტექტურული, ანალიტიკური ინფორმაცია (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა);
16. არ არის წარმოდგენილი ბანერის ფოტო.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორების შემდგომ საკითხი განსახილველად გადაეცემა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს "კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სექცია"–ს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.